

სკოპინგის დასკვნა N23

საერთო მონაცემები:

საქმიანობის დასახელება: სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავება;

საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება: შპს „მ გრუპი“;

საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. თერჯოლა, ვაჟა-ფშაველას შეს. I, №29;

განცხადების შემოსვლის თარიღი: 24.03.2022;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „მ გრუპის“ (ს/კ: 33.09.43.585) მიერ წარმოდგენილია, ქ. თერჯოლაში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავების სკოპინგის ანგარიში.

შპს „მ გრუპის“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი იყო სკრინინგის განცხადება, რაზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 აგვისტოს N 2-1294 ბრძანებით მიღებულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შპს „მ გრუპს“ დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით გათვალისწინებული სკოპინგის პროცედურის გავლა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმო განთავსებულია ქ. თერჯოლაში, მდ. ჩოლაბურის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 33.09.43.585). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმო მდებარეობს მდ. ჩოლაბურის მარჯვენა სანაპიროს პირველ ტერასაზე, სანაპირო ზოლიდან არანაკლებ 60 მ-ის დაცილებით. თუმცა, ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან მანძილი მდ. ჩოლაბურის კალაპოტის კიდემდე შეადგენს 48 მ-ს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტის მიმდებარედ განთავსებულია სხვადასხვა ტიპის საწარმოო ობიექტები, მათ შორის: ასფალტის ქარხანა, ცემენტის ქარხანა, მანგანუმის გადამამუშავებელი საწარმო. საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 820 მ მანძილზე (ქ. თერჯოლა).

სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, როგორც სკოპინგის ანგარიშიდან, ისე საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიაზე სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო უკვე მოწყობილია. გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შემდგომი რეაგირების მიზნით ეცნობა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ -ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „მ გრუპის“ მიმართ 2022 წლის 19 აპრილს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №068918 ოქმი.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წელიწადში დაგეგმილია 67 200 მ³ ქვიშა-ხრემის გადამუშავება. დანადგარის წარმადობა შეადგენს 35 მ³/სთ, რომელიც იმუშავებს წელიწადში 240 სამუშაო დღის და დღეში 8 საათის განმავლობაში. ტერიტორიაზე მოწყობილია სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი; დასამუშავებელი ინერტული მასალების სანაყარო; მზა პროდუქციის სანაყაროები; ჩამდინარე წყლების სალექარი. ნედლეულის დამუშავებისთვის განკუთვნილი ძირითადი დანადგარებია: ნედლეულის მიმღები ბუნკერი, კონვეიერით; ვიბრაციული ცხრილი/ცხავი; „DMD-166A“-ის მარკის ყებზიანი სამსხვრეველა; როტორი; სპირალური კლასიფიკატორი (2 ცალი), ლენტური კონვეიერი (5 ცალი).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ნედლეულით მომარაგება გათვალისწინებულია საწარმოს მიმდებარედ არსებული მდ. ჩოლაბურის ქვიშა-ხრემის ლიცენზირებული საბადოდან (სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 26 თებერვალს გაცემული ლიცენზია №1005283). ნედლეულის შემოტანა საწარმოს ტერიტორიაზე განსაზღვრულია თვითმცლელი ავტომანქანების გამოყენებით. საწარმოს სალიცენზიო ობიექტთან სიახლოვე საშუალებას იძლევა - ნედლეული საავტომობილო გზების ავლით მოხვდეს საწარმოში. გამოყენებული იქნება მდინარის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ არსებული გრუნტის გზა. შემოტანილი ნედლეული საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე, საიდანაც ხელოვნურად აგებული ბაქნიდან (პანდუსი) იყრება მიმღებ ბუნკერში, რის შემდგომაც ნედლეული მიეწოდება სამსხვრევ დანადგარს. დამსხვრეული მასალა ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება დამახარისხებელ-გამაცხავებელ დანადგარს (ე.წ. ცხავი) და ხდება დამსხვრეული მასის გაცხრილვა. ლენტური კონვეიერების მეშვეობით მზა პროდუქცია სათანადო ფრაქციების სახით (0-5; 5-10; 10-40 მმ) საწყობდება შესაბამის სანაყაროზე. ცხრილზე დარჩენილი მსხვილი მასა ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. სამსხვრევ-დამახარისხებელ საამქროში ინერტული მასალების მსხვრევა-დახარისხება გათვალისწინებულია სველი მეთოდით. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიური ციკლის სქემა, შესაბამისი ექსპლიკაციით.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის ალტერნატივების ანალიზის შესახებ, სადაც განხილულია უმოქმედობის, ტექნოლოგიური და საწარმოს ადგილმდებარეობის ალტერნატივების ვარიანტები. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან საწარმოს ექსპლუატაცია დადებითი შედეგის მომტანი იქნება რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისთვის, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია საწარმოს ადგილმდებარეობის ორი (N1 ს/კ - 33.09.43.585; N2 ს/კ- 33.09.43.568) ალტერნატიული ვარიანტის შედარებითი ანალიზი, რომლის საფუძველზე გარემოზე ზემოქმედების დაბალი რისკების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა პირველ (I) ალტერნატიულ ვარიანტს. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უპირატესობა მიენიჭა ქვიშა-ხრემის დამუშავების სველ მეთოდს.

საწარმოს მიერ წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული იქნება შემოტანილი, ბუტილირებული წყალი. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში არსებული ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, 1 მ³ ნედლეულის დამუშავებისთვის საჭიროა 1.5 მ³ წყალი. საწარმოო მიზნით წყალაღება განხორციელდება მდ. ჩოლაბურიდან (წყალაღების კოორდინატები-X=330519, Y=4668682), ტუმბოს მეშვეობით. სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე საწარმო წელიწადში მოიხმარს 100 800 მ³ წყალს. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის ტერიტორიაზე

გათვალისწინებულია 240 მ³ ტევადობის სალექარი. სალექარში გავლის შემდგომ, გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ჩოლაბურში (წყალჩაშვების წერტილის კოორდინატები - X=330428, Y=4668692). სალექარიდან ამოღებული ლამის გასაშრობად მოწყობილია მყარი საფარით დაფარული მოედანი. დაწრეტილი წყალი ჩაედინება სალექარში. გაშრობის შემდეგ ლამის განთავსება დაგეგმილია კომპანიის კარიერის გამომუშავებულ ტერიტორიაზე. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების შეგროვებისათვის მოწყობილია 12 მ³ საასენიზაციო ორმო, რომლის დაცლა გათვალისწინებულია ქ. თერჯოლის შესაბამისი სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის. პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან, ხმაურის გავრცელებასთან.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოდგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. ხმაური, ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს ნედლეულის შემოზიდვა-დასაწყობებამ და აღნიშნული პროცესის დროს ავტოტრანსპორტის მუშაობამ.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა მოსალოდნელია ნედლეულის ავტოთვითმცლელიებიდან ჩამოცლისა და ბუნკერში ჩაყრის, ნედლეულის და პროდუქციის დასაწყობების ადგილებიდან. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში გათვალისწინებულია სასარგებლო წიაღისეულის სველი მეთოდით გადამუშავება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობას. **გზმ-ის ეტაპზე მნიშვნელოვანია დაზუსტდეს არაორგანიზებული წყაროებიდან გაფრქვეული მტვრის მართვის საკითხები.**

საქმიანობისას შედეგად წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება გათვალისწინებულია კონტეინერებში, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები განთავსებული იქნება ლითონის დახურულ კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორს.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია და ჩამოყალიბებულია ტექნოგენური ლანდშაფტი. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტერიტორია, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ გამოირჩევა ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორასა და ფაუნაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ტერიტორიის სიახლოვეს არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული საწარმოო ობიექტების გათვალისწინებით პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია **მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება**, რომლის დეტალური ანალიზი და შეფასება გზმ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას. გზმ-ის ეტაპზე მნიშვნელოვანია კუმულაციური ზემოქმედება

დეტალურად იქნეს შეფასებული, როგორც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, ისე ხმაურის გავრცელებისა და სატრანსპორტო ოპერაციების ჭრილში. ამასთან, წარმოდგენილი იქნეს მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების მართვის და შერბილების, ასევე პრევენციული კონკრეტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 13 აპრილს, ქ. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „მ გრუპის“ სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანიის - შპს „გამა კონსალტინგის“, ქ. თერჯოლის მერიის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სამინისტროში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია, ხოლო ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება. სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი

1. **გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
 - 3.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად **გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს** იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;
 - 3.2 **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება**

საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;

4. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- საქმიანობის აღწერა;
- საქმიანობის საჭიროების დასაბუთება;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის დეტალური აღწერა-დახასიათება (საკადასტრო კოდის მითითებით), ტერიტორიის GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად;
- საწარმოს ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე/დასახლებამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის ობიექტამდე;
- ინფორმაცია 500 მ რადიუსის საზღვრებში არსებული-საპროექტო, ნებისმიერი ტიპის საწარმო ობიექტის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით);
- საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა;
- საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება საწარმო უბნები და დანადგარები, ტექნოლოგიური მოწყობილობები, ინფრასტრუქტურული ობიექტები, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები;
- საწარმოო ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა);
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- ამასთან, თუ საქმიანობის განხორციელება შერჩეულ ტერიტორიაზე არ იქნება სათანადოდ დასაბუთებული გარემოს დაცვის კუთხით, განხილული უნდა იყოს ალტერნატიულ ტერიტორიაზე საწარმოს განთავსების საკითხი;
- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია საპროექტო წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- საწარმოს ტექნოლოგიური ხაზის/ტექნოლოგიურ ციკლის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე;
- ამასთან, ინფორმაცია ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური უბნების შესახებ, შესაბამისი პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;

- ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ;
- ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულის შესახებ. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია:
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით), ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის და ნედლეულის/პროდუქციის შემოტანა-გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით;
 - დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოდრო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა;
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ავტოტრანსპორტის შესახებ, რაოდენობის მითითებით;
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემასა და გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზ(ებ)ის შესახებ.
- ინფორმაცია წყლის გამწმენდი ობიექტის - სალექარის შესახებ, პარამეტრების და გაწმენდის **ეფექტურობის** მითითებით;
- სალექარში წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხების დეტალური აღწერა. მათ შორის ინფორმაცია წარმოქმნილი ლამის რაოდენობის; ლამისგან სალექარის განტვირთვის პერიოდულობის; დროებითი დასაწყობების ტერიტორიის; ლამის გაუწყლოვანების, შესქელების, ლამის ლაბორატორიული კვლევის ჩატარების-შედეგებისა და საბოლოო მართვის ღონისძიებების შესახებ ;
- ინფორმაცია საწარმოს წყალმომარაგების შესახებ. მათ შორის ტექნიკური, სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული წყლის შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების შესახებ (აღებული წყლის რაოდენობის მითითებით, თვეების მიხედვით), წყალაღების ადგილის GPS კოორდინატების მითითებით;
- ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლების მართვის საკითხების შესახებ;
- ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ ინფორმაცია, ჩაშვების წერტილის მითითებით (GPS კოორდინატები). ამასთან ინფორმაცია ჩამდინარე წყლების შემადგენლობის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოო ტერიტორიაზე, მათ შორის ღია სასაწყობე უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

- საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია საწარმოო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;
- საწარმოს ტერიტორიის საკუთრების ან იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანებითი ღონისძიებების შესახებ, გენ-გეგმაზე მითითებით;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაზნების ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების მითითებით;
 - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები;
 - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;
 - ინფორმაცია აირმტვერდამჭერი სისტემის მოწყობის საჭიროების შესახებ (საპასპორტო მონაცემებისა და ეფექტურობის მითითებით);
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- პროექტის ფარგლებში ხმაურის და ვიბრაციით გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენგეგმაზე დატანით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას, მათ შორის ზემოქმედების შეფასება სატრანსპორტო ნაკადებზე. ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედება შეფასებული უნდა იყოს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე სატრანსპორტო გადაზიდვებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. გზშ-ის

ანგარიშში მითითებული უნდა იყოს კუმულაციური ზემოქმედების შემცირების დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები;

- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გზმ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
- გზმ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე. ამასთან, განსაზღვრული უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (ნარჩენების მართვის გეგმა);
- პროექტის ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის **შემარბილებელი ღონისძიებები**, გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ეტაპზე:

- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს საწარმოს მოწყობასთან დაკავშირებული შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია;
- ზედაპირული წყლის დაბინძურების პრევენციის მიზნით გზმ-ის ანგარიშში განხილული იქნეს სალექარში დაგროვილი წყლის საწარმოო ტექნოლოგიური ციკლში გამოყენების შესაძლებლობის საკითხი;
- დეტალურად იქნეს განხილული საწარმოო ტერიტორიაზე არსებული არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროებიდან მოსალოდნელი ზემოქმედების და აღნიშნული ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები;

- გზშ-ის ანგარიშში განხილული იქნეს საპროექტო, ნედლეულის/პროდუქციისთვის დახურული ტიპის საწყობის მოწყობის შესაძლებლობის საკითხი;
 - დაზუსტებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიექტიდან საწარმომდე დაშორების მანძილის შესახებ ინფორმაცია;
 - გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს სალექარიდან წარმოქმნილი ლამის კარიერის ტერიტორიის რეკულტივაციის ტექნიკურ ფენად გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ ინფორმაცია, ლამის ლაბორატორიული კვლევის შედეგების მითითებით;
 - გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სკოპინგის დასკვნაში გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინებით.
- **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით).**

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „მ გრუპის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. თერჯოლაში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავებას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოპოვებული, შესწავლილი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.